აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილება სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ

ოქმი 3 30 იანვარი 2019 წელი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი „აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში გენდერული თანასწორობის განხორციელების ღონისძიებათა 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ (09-01-88/71 24.01.2019 წელი)

დასახელება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭო	*უმაღლესი საბჭოს წევრები: ნ. ჩხეტია, ც.ანანიძე, გ. ცინცქილაძე, პ.ზამბახიძე, ი. ვერძაძე, დ. ბაციკაძე, მ.კარანაძე*
ავტორი	ინიციატორი

ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტი

წამყვანი *კომიტეტი*

24.01.2019 წელი	წამყვანი კომიტეტი: 18.02.2019 წელი სხვა კომიტეტები: 12.02.2019 წელი	რიგგარეშე სესია
შემოსვლის თარიღი	საკომიტეტო მოსმენის ვადა	სხდომაზე განხილვის თარიღი

საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი

კომიტეტი რომლის დასკვნა სავალდებულოა

უმაღლესი საბჭოს ბიურო ადგენს:
უმაღლესი საბჭოს კომიტეტებსა და ფრაქციებში დაიწყოს სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **დავით გაბაიძე**

საქართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს წევრი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ჩაქვი, ბ. მეგენეიშვილის ქ. №25

საორგანიზაციო და საქმისწარმოების
დეპარტამენტის უფროსს
ბატონ **გიორგი ბერიძეს**

ბატონო გიორგი,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 76-ე მუხლის პირველი პუნქტის და 94-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოგიდგენთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტს - „აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში გენდერული თანასწორობის განხორციელების ღონისძიებათა 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“.

გთხოვთ, დადგენილების პროექტს მისცეთ შესაბამისი მსვლელობა.

დადგენილების პროექტზე უმაღლესი საბჭოს კომიტეტებსა და პლენარულ სხდომებზე მომხსენებელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე ნინო ჩხეტია.

დანართი: 12 ფურცელი

პატივისცემით,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები:

09-01-08/71
24. 01. 2019
13 ფურცელი

1. ---ნინო ჩხეტია--- / ---ნ. ჩხეტია---
   სახელი, გვარი — ხელმოწერა

2. ---ლაზარე ანანიძე--- / ---
   სახელი, გვარი — ხელმოწერა

3. ---გიორგი სინსაქილაძე--- / ---
   სახელი, გვარი — ხელმოწერა

4. ----------ნუგზარ ბაბალიძე---------- / ----------
სახელი, გვარი ხელმოწერა

5. ----------ლია ვერძაძე---------- / ----------
სახელი, გვარი ხელმოწერა

6. ----------ეფაქი ბურეაძე---------- / ----------
სახელი, გვარი ხელმოწერა

7. ----------შერაბ სახიანაძე---------- / ----------
სახელი, გვარი ხელმოწერა

<u>პროექტი</u>

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

დადგენილება

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში გენდერული თანასწორობის განხორციელების ღონისძიებათა 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს თანდართული „აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში გენდერული თანასწორობის განხორციელების ღონისძიებათა 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა".
2. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე

ჩაქვი,
2019 წლის
№

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
გენდერული თანასწორობის განხორციელების
ღონისძიებათა 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა

ძირითადი მიზნები:

1. გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების შექმნა და გაძლიერება;
2. გენდერულად მგრძნობიარე კანონმდებლობის შემუშავება;
3. გენდერული ბიუჯეტის ფორმირება;
4. ქალთა მონაწილეობის გაზრდა გადაწყვეტილების მიღების დონეზე;
5. ქალთა ეკონომიკური გაძლიერება (მცირე გრანტების გაცემა ქალებისათვის);
6. განათლება და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება;
7. ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა.

მიზანი 1: გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების შექმნა და გაძლიერება						
ამოცანა	საქმიანობა	ინდიკატორი	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორები	ვადა	დაფინანსების წყარო/რესურსები
1.1 აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს გაძლიერება	1.1.1. აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს აპარატის თანამშრომელთა შესაძლებლობების გაძლიერება - გენდერული თანასწორობის, გენდერული მეინსტრიმინგის საკითხებზე ტრენინგების ჩატარება	ჩატარებულ ტრენინგთა და მომზადებულ თანამშრომელთა რაოდენობა	აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭო	მოწვეული ექსპერტები	2019-2020	დონორი ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები
	1.1.2.აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს აპარატის თანამშრომელთა შეხვედრა ქვეყნის დონეზე მოქმედი ინსტიტუციური მექანიზმების წარმომადგენლებთან და მათი აპარატის თანამშრომლებთან - სამუშაო გამოცდილების გაზიარება	შეხვედრა ორგანიზებული და ჩატარებულია	აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭო	პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო, გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია	2019	აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭო
1.2. აჭარის ა.რ. მთავრობასთან კოორდინაციის გაძლიერება	1.2.1.აჭარის ა.რ. მთავრობასთან გენდერული თანასწორობის საკითხებში მრჩევლის საშტატო ერთეულის შემოღება	საშტატო ერთეული დამტკიცებულია	აჭარის ა.რ.მთავრობის თავმჯდომარის აპარატი		2019	აჭარის ა.რ. მთავრობის აპარატის ბიუჯეტი
	1.2.2. აჭარის ა.რ. მთავრობასთან გენდერული თანასწორობის საკითხებში მრჩევლისა და	ჩატარებული ტრენინგი	აჭარის ა.რ.მთავრობის თავმჯდომარის	დონორი ორგანიზაცია	2020	დონორი ორგანიზაცია

	მთავრობის აპარატის თანამშრომელთა შესაძლებლობების გაძლიერება - ტრენინგის ჩატარება გენდერული თანასწორობის საკითხებზე		აპარატი			
	1.2.3.მუნიციპალიტეტების გენდერის მრჩევლებთან და გენდერული თანასწორობის საბჭოებთან თანამშრომლობის გაძლიერება - გამოცდილებისა და გეგმების გაზიარება, ურთიერთმხარდაჭერის სტრატეგიის შემუშავება	შეხვედრების ორგანიზება/ ჩატარება, შეხვედრების რაოდენობა, შემუშავებული სტრატეგია	აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს გენდერული საბჭო. მთავრობასთან არსებული მრჩეველი გენდერული თანასწორობის საკითხებში	მუნიციპალიტეტები, გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელი პირები	2019-2020	აჭარის ა.რ. მთავრობის აპარატის, მუნიციპალიტეტების ბიუჯეტი
	1.2.4 თანამშრომლობის გაძლიერება დონორ ორგანიზაციებთან - რეგულარული შეხვედრების ორგანიზება: საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებისა და მუშაობის პროცესში მხარდაჭერის მიზნით	შეხვედრების ორგანიზება/ ჩატარება, შეხვედრების რაოდენობა,	აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს გენდერული საბჭო. მთავრობასთან არსებული მრჩეველი გენდერული თანასწორობის საკითხებში	დონორი ორგანიზაციები და მათი წარმომადგენლები	2019-2020	აჭარის ა.რ. მთავრობის აპარატის, მუნიციპალიტეტების ბიუჯეტი, დონორი ორგანიზაციები

მიზანი 2: გენდერულად მგრძნობიარე კანონმდებლობის შემუშავება						
ამოცანა	საქმიანობა	ინდიკატორი	შემსრულებელი	პარტნიორები	ვადა	დაფინანსების წყარო
2.1. კანონპროექტების და ადგილობრივ დონეზე მიღებული სამართლებრივი აქტების გენდერული ანალიზი	2.1.1 გენდერული ანალიზისათვის კადრის მომზადება - ტრენინგის უზრუნველყოფა კანონმდებლობის გენდერული ანალიზის ინსტრუმენტებზე	გენდერულ ანალიზში მომზადებული მინიმუმ 1 ექსპერტი	აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭო	დონორი ორგანიზაცია. ექსპერტი	2019	აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტი, დონორი ორგანიზაციები
	2.1.2. კანონპროექტების გენდერული ანალიზი	კანონპროექტებისა და ადგილობრივი სამართლებრივი აქტების რაოდენობა, რომელთა გენდერული ანალიზიც ჩატარდა	აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭო და სპეციალური ექსპერტი	დონორი ორგანიზაცია.	2020	აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტი, დონორი ორგანიზაციები
მიზანი 3: გენდერული ბიუჯეტის ფორმირება						
ამოცანა	საქმიანობა	ინდიკატორი	შემსრულებელი	პარტნიორები	ვადა	დაფინანსების წყარო
3.1 აჭარის ა.რ. ბიუჯეტში გენდერული ასპექტების გათვალისწინება	3.1.1. აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს ტრენინგი გენდერულ ბიუჯეტზე	ჩატარებული ტრენინგებისა და მომზადებული კადრების რაოდენობა	აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭო	დონორი ორგანიზაციები	2019	დონორი ორგანიზაციები; არასამთავრობო ორგანიზაციები
	3.1.2. გენდერული ბიუჯეტირების საკითხებზე კადრების გადამზადება	ჩატარებული ტრენინგებისა და მომზადებული კადრების რაოდენობა	აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭო	დონორი ორგანიზაციები	2019	დონორი ორგანიზაციები

	3.1.3. 2019 წლის ბიუჯეტის გენდერული ანალიზი	შესრულებული ანალიზი და შემუშავებული რეკომენდაციები	აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭო	დონორი ორგანიზაციები დაქირავებული ექსპერტი	2019	აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭო, დონორი ორგანიზაციები
	3.1.4. რეგიონულ პროგრამებში სპეციფიკისა და საჭიროებების გათვალისწინებით გენდერული ასპექტების გათვალისწინება	პროგრამების რაოდენობა, რომელშიც აისახა გენდერული ასპექტები	აჭარის ა.რ. მთავრობა და ექსპერტები		2020	აჭარის ა.რ. ბიუჯეტი
მიზანი 4: ქალთა მონაწილეობის გაზრდა გადაწყვეტილების მიღების დონეზე,						
ამოცანა	საქმიანობა	ინდიკატორი	შემსრულებელი	პარტნიორები	ვადა	დაფინანსების წყარო
4.1. აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს არჩევნებში ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობა	4.1.1. ქალთა რაოდენობის ზრდის მხარდამჭერი საკანონმდებლო ინიციატივის შემუშავება: კვოტირების მექანიზმთან დაკავშირებით საკანონმდებლო ინიციატივის შემუშავება	ასახული ცვლილება აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ კანონში	აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭო, და გენდერული თანასწორობის საბჭო	დონორი ორგანიზაციები; არასამთავრობო ორგანიზაციები	2019	დონორი ორგანიზაციები; არასამთავრობო ორგანიზაციები
	4.1.2. პოლიტიკურ პარტიებთან გენდერული თანასწორობის საკითხებზე შეხვედრებისა და ტრენინგების ორგანიზება	ტრენინგებისა და შეხვედრების რაოდენობა	აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭო		2019	
	4.1.3. კანდიდატი ქალების შესაძლებლობების გაძლიერება - შესაბამისი ტრენინგების, სემინარებისა და შეხვედრების ორგანიზება	ტრენინგებისა და შეხვედრების რაოდენობა, გადამზადებული პარტიის წევრი ქალების რაოდენობა	აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭო, მოწვეული ექსპერტები	დონორი ორგანიზაციები; არასამთავრობო ორგანიზაციები	2019-2020	დონორი ორგანიზაციები

4.2. აჭარის ა.რ. აღმასრულებელ ხელისუფლებაში ქალთა რაოდენობის გაზრდა.	4.2.1. შეხვედრები, კონსულტაციები, რეკომენდაციის გაცემა	სტატისტიკა	აჭარის ა.რ. მთავრობა		2019-2020	
მიზანი 5: ქალთა ეკონომიკური გამლიერება (მცირე გრანტების გაცემა ქალებისათვის)						
ამოცანა	**საქმიანობა**	**ინდიკატორი**	**შემსრულებელი**	**პარტნიორები**	**ვადა**	**დაფინანსების წყარო**
5.1. დასაქმებაში გენდერული თანასწორობის პრინციპების გათვალისწინება	5.1.1 პროფესიულ პროგრამებში ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობა (განსაკუთრებით სოფლად მცხოვრები ქალებისათვის)	რამდენი ქალი გადამზადდა (სტატისტიკური მონაცემები და რა ტიპის პროგრამებში)	აჭარის ა.რ. მთავრობა	აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭო, და გენდერული თანასწორობის საბჭო		აჭარის ა.რ. მთავრობა (არსებული სახელმწიფო პროგრამები)
5.2. სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ჩართულ ქალთა ან დაინტერესებულ ქალთა შესაძლებლობების ზრდა	5.2.1. სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ჩართული ან/და დაინტერესებული ქალებისათვის საგანმანათლებლო-საკონსულტაციო პროგრამების განხორციელება	რამდენი ქალი გადამზადდა, რამდენმა ქალმა მიიღო ასეთ საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილეობა (სტატისტიკური მონაცემები და რა ტიპის პროგრამებში)	აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭო, და გენდერული თანასწორობის საბჭო	აჭარის ა.რ. მთავრობა, დონორი ორგანიზაციები	2019-2020	აჭარის ა.რ. მთავრობა (არსებული სახელმწიფო პროგრამები), დონორი ორგანიზაციები
5.3. ქალთა ბიზნესში ჩართვის ხელშეწყობა	5.3.1. მცირე ბიზნესში ჩართულ ქალთა მოძიება	რეგიონში არსებული ბიზნესმენი ქალების რაოდენობა (სტატისტიკური მონაცემები)	აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭო და გენდერული თანასწორობის საბჭო	ბიზნეს ასოციაცია	2019-2020	

	5.3.2. ბიზნესმენ ქალთა ქსელის შექმნა რეგიონში და მათი შესაძლებლობების გაძლიერება: ტრენინგებისა და სემინარების ჩატარება ბიზნესის დაგეგმვის, წარმოებისა და პროდუქციის/მომსახურების გასაღების შესაძლებლობებზე	შექმნილი ქსელი, ჩატარებული ტრენინგები და შეხვედრების რაოდენობა	აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭო, და გენდერული თანასწორობის საბჭო	აჭარის ა.რ. მთავრობა, დონორი ორგანიზაციები	2019-2020	დონორი ორგანიზაციები
მიზანი 6: განათლება და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება						
ამოცანა	**საქმიანობა**	**ინდიკატორი**	**შემსრულებელი**	**პარტნიორები**	**ვადა**	**დაფინანსების წყარო**
6.1. მასმედიის როლის გაძლიერება გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით	6.1.1 ტელე-რადიო გადაცემებში, ბეჭდურ მედიაში გენდერული საკითხების გაშუქება	გადაცემათა რაოდენობა, მათი შინაარსობრივი ანალიზი	სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო, ბეჭდვითი მედია	დონორი ორგანიზაციები	2019-2020	სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო, აჭარის ა.რ. რესპუბლიკური ბიუჯეტი, დონორი ორგანიზაციები
6.2. ახალგაზრდობის და ზოგადად ცნობიერების დონის ამაღლება გენდერული თანასწორობის საკითხებზე - არაფორმალური განათლების გზით	6.2.1.ტრენინგები, სემინარებისა და მრგვალი მაგიდების ორგანიზება.	ჩატარებულ შეხვედრათა და მონაწილე ახალგაზრდების რაოდენობა	აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭო ან/და მოწვეული ექსპერტები	უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლები	2019-2020	აჭარის ა.რ. რესპუბლიკური ბიუჯეტი, დონორი ორგანიზაციები
	6.2.2. საჯარო ლექციების, სემინარებისა და სამუშაო შეხვედრების ორგანიზება უმაღლეს სასწავლებლებში	ჩატარებული ლექციების რაოდენობა	აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭო	უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლები, არასამთავრობო, დონორი ორგანიზაციები	2019-2020	აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტი, დონორი ორგანიზაციები; არასამთავრობო ორგანიზაციები

6.3. გენდერული თანასწორობის საკითხებზე საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება	6.3.1.ტრენინგების ორგანიზება აჭარის რეგიონში მოქმედი მედია საშუალებების ჟურნალისტებისათვის, რომელიც შეეხება გენდერული თანასწორობის საკითხებსა და გენდერულად მგრძნობიარე საკითხების გაშუქებას	ჩატარებულ ტრენინგთა და მონაწილეთა რაოდენობა	აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭო	სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო, ჟურნალისტთა ქსელი გენდერული თანასწორობისათვის, დონორი ორგანიზაციები	2019-2020	სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო, დონორი ორგანიზაციები
6.4. გენდერული სტერეოტიპების შეცვლა და მოსწავლე -ახალგაზრდობის თანასწორობის პრინციპზე აღზრდა	6.4.1. სკოლებში გაკვეთილებისა და დისკუსიების ჩატარება გენდერულ საკითხებზე	ჩატარებული გაკვეთილებისა და დისკუსიების რაოდენობა	აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭო	აჭარის ა.რ. განათლების, კულტურის და სპორტის სამინისტრო, არასამთავრობო და დონორი ორგანიზაციები	2019-2020	დონორი ორგანიზაციები
მიზანი 7: ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა						
ამოცანა	**საქმიანობა**	**ინდიკატორი**	**შემსრულებელი**	**პარტნიორები**	**ვადა**	**დაფინანსების წყარო**
7.1. განათლებისა და საზოგადოებრივი ცნობიერების დონის ამაღლება ძალადობის საკითხებზე	7.1.1.საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებისათვის (მათ შორის მაღალმთიანი აჭარის წარმომადგენლებისათვის) ტრენინგების ჩატარება ძალადობის საკითხებზე, ქალთა უფლებების საკითხებზე; მნიშვნელოვანი საერთაშორისო თუ ადგილობრივი დოკუმენტებისა და ძალადობისაგან დაცვის მექანიზმების გაცნობა	ჩატარებული ტრენინგებისა და მიზნობრივი ჯგუფების რაოდენობა	აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭო ან/და მოწვეული ექსპერტები	აჭარის ა.რ. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, დონორი ორგანიზაციები	2019-2020	დონორი ორგანიზაციები

	7.1.2. რეკომენდირებულია თემატური მედია პროდუქტის მომზადება და განთავსება ადგილობრივ მედია საშუალებებში	გადაცემათა რაოდენობა და შინაარსის ანალიზი	სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო, ბეჭდვითი და ელექტრონული მედია	დონორი ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები	2019-2020	სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო, დონორი ორგანიზაციები
7.2. ოჯახში ძალადობის აღკვეთა, ძალადობის მსხვერპლთა დაცვა	7.2.1. რეგიონში არსებული ძალადობის მსხვერპლთა საჭიროებების დადგენა (კვლევის ჩატარება)	კვლევის შედეგები და შემუშავებული რეკომენდაციები	აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭო და მკვლევარი-ექსპერტები	დონორი ორგანიზაციები	2019-2020	დონორი ორგანიზაციები

განმარტებითი ბარათი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტზე – „აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში გენდერული თანასწორობის განხორციელების ღონისძიებათა 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“

ა) დადგენილების პროექტის მიღების მიზეზი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 142[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულების მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭომ მოამზადა დადგენილების პროექტი „აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში გენდერული თანასწორობის განხორციელების ღონისძიებათა 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის (შემდგომში - სამოქმედო გეგმა) დამტკიცების შესახებ“.

2016 წლიდან აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოქმედებდა უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული „აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2016-2018 წლების სამოქმედო გეგმა“, რომელიც დასრულდა 2018 წლის დეკემბრის ბოლოს. შესაბამისად, გენდერული თანასწორობის საბჭომ ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების ექსპერტების ჩართულობით შეიმუშავა 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა, რომლის საჯარო განხილვა მოხდა 2019 წლის 16 იანვარს, სამოქმედო გეგმის ამოცანათა განსახორციელებლად მონაწილე შესაბამისი უწყებების წარმომადგენლებთან ერთად.

სამოქმედო გეგმა ასევე განხილული და ერთხმად მოწონებული იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს 2019 წლის 22 იანვრის სხდომაზე.

ბ) დადგენილების პროექტის არსი

სამოქმედო გეგმა მოიცავს გენდერული თანასწორობის ხელშეყწობისთვის განსახორციელებელ ღონისძიებებს. სამოქმედო გეგმა შედგება 7 ძირითადი მიზნისაგან:

1. გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების შექმნა და გაძლიერება;
2. გენდერულად მგრძნობიარე კანონმდებლობის შემუშავება;
3. გენდერული ბიუჯეტის ფორმირება;
4. ქალთა მონაწილეობის გაზრდა გადაწყვეტილების მიღების დონეზე
5. ქალთა ეკონომიკური გაძლიერება (მცირე გრანტების გაცემა ქალებისათვის)
6. განათლება და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება;
7. ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა.

თითოეული მიზანი მოიცავს ამოცანას, საქმიანობას, ინდიკატორს, პასუხისმგებელ უწყებას, პარტნიორებს, ვადას, დაფინანსების წყაროს/რესურს.

გ) იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებსაც გამოიწვევს წარდგენილი დადგენილების პროექტის მიღება:

სამოქმედო გეგმის დაფინანსების წყაროდ განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტები, ასევე დონორი ორგანიზაციების მიერ განსახორციელებელი პროგრამები.

დ) დადგენილების პროექტის ავტორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭო.

ე) დადგენილების პროექტის ინიციატორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები: ნინო ჩხეტია, ცოტნე ანანიძე, გიორგი ცინცქილაძე, პეტრე ზამბახიძე, ილია ვერძაძე, დავით ბაციკაძე, მერაბ კარანაძე.

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს აპარატი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ჩაქვი, ბ. მეგენეიშვილის ქ. №25

29/01/2019
N 132

132-09-02-11-3-201901291051

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი
საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და
საქმისწარმოების დეპარტამენტის
უფროსს ბატონ გიორგი ბერიძეს

დასკვნა

,,აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში გენდერული თანასწორობის განხორციელების ღონისძიებათა 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
დადგენილების პროექტის თაობაზე
(N09-01-08/71, 24.01.2019 წ.)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის მიერ განხილულ იქნა ,,აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში გენდერული თანასწორობის განხორციელების ღონისძიებათა 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი.

წარმოდგენილი დადგენილების პროექტი შეესაბამება ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-18 მუხლითა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 79-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

პატივისცემით,
ვაჟა ცეცხლაძე

დეპარტამენტის უფროსი
იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი